

# ელისო ყვავაძე გოდერძი ნარიმანიშვილი

## ცალკის პლატოს პალეოლითური გვიანდების გვიანდები

(არქეოლოგიური და გეოლოგიური მასალის პალინოლოგიური  
მონაცემების მიხედვით)

**შესავალი.** პალეოლითური გვიანდების რეკონსტრუქცია არქეოლოგიური მასალის პალინოლოგიური კვლევების მიხედვით საკმაოდ პერსპექტიულია. უძველესი კულტურული ფენებიდან აღებული ნიმუშების პალინოლოგიური შესწავლა როგორც ველური, ისე კულტურული მცენარეული საფარის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა. დისკუსია წალკისა და მისი შემოგარენის გვიანდებისტოცენისა და ჰოლოცენის ლანდშაფტის ხასიათის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია მიმდინარეობს [კეცხოველი 1959; მარუაშვილი 1970; მარგალითაძე 1977; 1995]. გასული საუკუნის 70-იან წლებში წალკის პლატოზე პალინოლოგიურად შესწავლილ იქნა ბარეთის ტბის დანალექი ფენების მხოლოდ ერთი ჭრილი, სადაც არც ერთი შრე არ არის დათარიღებული რადიონახშირპადის მეთოდით. პალინოსპექტორებში არც სათესი მარცვლეულის და არც სხვა კულტურული მცენარეულობის ნაშთები არ დაფიქსირებულა. არსებული მოსაზრებით წალკის ზეგანზე მთელი ჰოლოცენის პერიოდში გავრცელებული იყო ღია სტეპური ცენოზები და აქ, როგორც ჯავახეთის პლატოზე, ტყეები არასოდეს იზრდებოდა [მარგალითაძე 1977]. აღსანიშნავია ბეშთაშენის ციკლოპური სიმაგრის კულტურული ფენიდან შესწავლილი ხის ნახშირის მაკრონარჩენები, რომელთა პალეობოტანიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ ბეშთაშენის შემოგარენში ენეოლითის ხანაში იზრდებოდა ტყე, სადაც დომინირებდა მურყანი, ხოლო ადრებრინჯაოს ეპოქაში ჭარბობდა მუხნარი [Яценко-Хмелевский, Канделаки 1941]. ბრინჯაოს ხანაში წალკის პლატოზე ტყის არსებობის შესახებ აღნიშნულია ახალ გამოკვლევებშიც [Kvavadze, Connor 2005; Kvavadze ი დრ. 2007].

**ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები.** წალკის პლატო მდებარეობს სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგანის აღმოსავლეთ ნაწილში. ოროგრაფიული თვალსაზრისით იგი წარმოადგენს ამაღლებულ მთიან პლატო-ქვაბულს [მარუაშვილი 1973]. რეგიონი ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია თრიალეთის ქედით, დასავლეთიდან – სამსარის ქედის ჩრდილო კალთებით, აღმოსავლეთიდან – მდ. ალგეთის აუზით, სამხრეთიდან – ჯავახეთის ქედის ჩრდილო კალთით, ჭოჭიანის პლატოსა და ბედენის ზეგანით. აღნიშნული ტერიტორიის აბსოლუტური სიმაღლე მერყეობს 1400-1500 მ-დან 1900-2000 მ-დე. გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ნეოგენური ხანის ვულკანოგენური ფენები. მხოლოდ თრიალეთის ქედისპირა ზოლია აგებული აჭარა-თრიალეთის სისტემის პალეოგენური და ზედაცარცული დანალექებით [მარუაშვილი 1970; მარუაშვილი 1973].

**ჰიდროგრაფიული ქსელი** განვითარებულია საკმაოდ კარგად. რეგიონის ძირითად მდინარეს ქცია წარმოადგენს, რომელიც თრიალეთის ქედზე იღებს სათავეს და ქვემო ქართლის ვაკეზე მდ. მტკვარს უერთდება. მისი სიგრძე 220 კმ-ია. წალკის პლატოზე მრავლადა ვულკანური და ტექტონიკური წარმოშობის ტბები, ყველაზე დიდი ბუნებრივი ტბაა ბარეთისა (ბაშქოის). პატარა ტბებიდან აღსანიშნავია უზუნგელის, ალიგელისა და იმერას ტბა [აპხაზავა 1975]. ტბების ნაწილი დაფარა წალკის წყალსაცავმა, რომელსაც წალექიან წლებში 30-31 კმ<sup>2</sup> უკავია. ამ ხელოვნური ტბის დონის აბსოლუტური ნიშანი შეადგენს 1510 მ-ს. დასავლეთიდან მასში ჩაედინება მდ. ქცია, აღმოსავლეთიდან – მდ. კორსუ. წალკის წყალსაცავიდან წყლის გადინება ხდება ხრამჭესისა და წყლის გამფილტრავი მინისქვეშა ნაგებობების საშუალებით.

კლიმატური პირობები, ორი მეტეოსადგურის (წალკისა და ოლიანქის) მონაცემების მიხედვით, აქ ზომიერია. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს  $6^{\circ}-5^{\circ}$ . იანვარში ტემპერატურა ეცემა  $-5^{\circ}, -6^{\circ}$ , ივლისისა კი შეადგენს  $16^{\circ}-15^{\circ}$ . ყოველთვიური ტემპერატურის ცვალებადობის ამპლიტუდაა  $21^{\circ}-21.5^{\circ}$ . ნალექების წლიური ჯამი შეადგენს 538-662 მმ-ს [ლომინაძე, ჩირაკაძე 1971]. ნალექების მაქსიმუმი მოდის მასისა და ივნისში. ძლიერ საინტერესოა ის ფაქტი, რომ აქ ჰაერის ფარდობითი ტენიანობა მთელი წლის განმავლობაში თითქმის არ იცვლება და საშუალოდ შეადგენს 72-76% [ატლას საქართველო, 1964].

**ნიაღაგის საფარი** ძირითადად შედგება შავმიწანიადაგისაგან. ნალკის მთების სამხრეთ ფერ-დობებზე გავრცელებულია საშუალოდ გამოტუტვილი შავმიწანიადაგი. თუმცა რელიეფის და-ფერდებულ და ამობურცულ მონაკვეთებზე გავრცელებულია სრულად გამოტუტვილი შავმიწა-ნიადაგი. თრიალეთის ქედის წინა ზოლის ჩრდილო განაპირას შეინიშნება მთა-მდელოთა ნიადა-გები. ქვაბულის ძირზე, ტბებთან და მდ. ქციას ნაპირებთან გავრცელებულია სხვადასხვა ტიპის დაჭაობებული ტენიანი მდელო-ნიადაგი [ათლას ერთობლივი გეოლოგიური რუკა, 1964].

რეგიონის **მცენარეული საფარი** მეორად ხასიათს ატარებს. ეს ძირითადად გასტეპებული მდელოებია, რომელშიც ჭარბობს მარცვლოვნები. ტყე ცალკეული ფრაგმენტების სახით შემორჩენილია თავკვეთილის მთის აღმოსავლეთ ფერდობზე, მდ. კუსრეთისწყლისა და ხრამის აუზში, სოფ. დაშბაშის, კუშჩის, საფარ-ხარაბასა და სხვ. შემოგარენში. ტყეში იზრდება მუხა, ნიფელი, რცხილა, თელა. ქვეტყეში გვხვდება ცირცელი, მდგნალი და მაღალმთიანი ტყის სხვა კომპონენტები. აღსანიშნავია ხელოვნურად გაშენებული ფიჭვის ტყეები, რომლებიც დაირგო გასული საუკუნის 60-იან წლებში. ეს ტყეები კარგადაა განვითარებული. ჩვენი დაკვირვებით, ფიჭვის განახლება კარგად მიმდინარეობს.

**მასალა და მეთოდიკა.** არქეოლოგიური მასალა წარმოადგენს ჭურჭლის ორგანულ ნარჩენებს, განამარხებულ ნიადაგს, ნაცროვან ფენებს, ხისა და ტყავის ნაშთებს, რომლებიც აღმოჩნდა სამარხებსა და ნამოსახლარის ფენებში. აღნიშნული მასალა შეგროვებულია 2002-2005 წლებში ჩატარებული საველე სამუშაოების დროს. ალიგელისა და იმერას ტბების ფსკერის დანალექი ფენები გაბურღულია ხელის ბურღით. გამოკვლეულია ორი ტბა-ჭაობისა და ოთხი ნიადაგური ჭრილი, არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული განამარხებული ნიადაგის და სხვა ორგანული ნარჩენების სერია (ტაბ. I).

ნიმუშები აღებულია იმერასა და საფარ-ხარაბას სამაროვნებზე, ჯინისის და აი-ილიას ნამო-სახლარებზე. ჭრილებში აღებულ ნიმუშებს შორის ინტერვალი საშუალოდ 4-5 სმ-ია.

ლაბორატორიული დამუშავების პირველ ეტაპზე ხდება მასალის მოხარშვა ტუტეში, მეორე ეტაპზე – ცენტრიფუგირება კადმიუმის მძიმე სითხეში, ხოლო ბოლო, მესამე ეტაპზე – აცეტოლიზი ანუ შეღებვა ერდტმანის სტანდარტული მეთოდიკის მიხედვით. რადიონახშირბადული დათარიღება ჩატარდა აქსელერატორული სპექტრომეტრის (AMS) საშუალებით მელბურნის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში.

განამარხებული მტვრის სპექტრების სწორი ინტერპრეტაციისათვის განსახილველ რეგიონში შესწავლილია აგრეთვე ნიადაგის, ტბის, ჭაობისა და ხავსის თანამედროვე პალინოლოგიური სპექტრები. მასალის იდენტიფიკაცია ხდებოდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტში დაცული თანამედროვე ეტალონური კოლექციებისა და მტვრის ატლასების გამოყენებით. მასალის შესწავლა ხდებოდა Leitz სერიის მიკროსკოპის გამოყენებით (x300-600). შესწავლილი მასალა ინახება პალებიოლოგიის ინსტიტუტში.

**კვლევის შედეგები და მათი განხილვა.** განამარტეული ნიადაგი და ორგანული ნაშთები საფარ-ხარაბას სამაროვნიდან. ძეგლი მდებარეობს სოფ. საფარ-ხარაბას ჩრდილოეთით. სამაროვნის სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 1500 მეტრია, ხოლო სიგანე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – 700 მ. ბაქო-თბილისი-ჯერიპანის ნავთობსაფენის მშენებლობისას გაითხარა 120-ზე

მეტი სამარხი. არქეოლოგიური მონაცემებით იგი, ისევე როგორც იმერას სამაროვანი, თარიღდება ძვ.წ. XV-XIV სს-ით [ნარიმანიშვილი 2006; Narimanishvili G. 2006; Kvavadze, Narimanishvili 2006a,b].

პალინოლოგიური მეთოდით შესწავლილია 30 სამარხიდან აღებული 300-მდე ნიმუში, რომელიც წარმოდგენილია განამარხებული ნიადაგით, თიხის ჭურჭლისა და მიცვალებულთა კუჭ-ნანლავის შიგთავსის ნაშთებით, სამარხი კამერების გადასახური ძელების და ქსოვილთა ნარჩენებით და სხვა. ნიმუშების აღება ხდებოდა წინასწარ განსაზღვრული ადგილებიდან (ტაბ. II<sub>1,2</sub>).

შესწავლილი ორგანული წარმონაქმნების პალინოლოგიურმა სპექტრებმა მათში მარცვლოვანი კულტურების, განსაკუთრებით ხორბლის, მაღალი შემცველობა გვიჩვენა. სათესი კულტურების სარეველებიდან მრავლადაა ნარმავი (*Carduus*), მატიტელა (*Polygonum*), ღილილი (*Centaurea*), ნინიბურა (*Fagopyrum*), ხვართქლა (*Convolvulus*). ხე-მცენარეებიდან მრავლადაა წარმოდგენილი ფართოფოთლოვანთა, განსაკუთრებით მუხისა და ცაცხვის მტვერი. წინვოვნებიდან უმეტესობას წარმოადგენს ფიჭვისა და სოჭის მტვერი. შესწავლილი მტვრის სპექტრის 50-45% შეადგენს ტყის კომპონენტები. № 10 სამარხის № 4 ჭურჭლიდან (ინვ. № 99) აღებული ნიმუშის სპექტრში მრავლადა თაფლოვანი მცენარეების მტვერი. რომელიც როგორც ჩანს, წარმოადგენს თაფლის ნარჩენს. ამავე ნიმუშში ბევრია ტყის კომპონენტებიც. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მრავალ სამარხში აღმოჩენილია სითბოს მოყვარული ტყის გვიმრის – ვენერას თმისა (*Adianthus capillus veneris*) და ანოგრამას (*Anogramma leptophyllum*) სპორები. ამჟამად ვენერას თმა არ იზრდება მუა სარტყელზე მაღლა, რაც შეეხება ანოგრამას, იგი იშვიათ მცენარეთა ჯგუფს მიეკუთვნება და გვხვდება აჭარის ტენიან კლდეებზე.

განხილულ პალინოლოგიურ სპექტრებში საკმაოდ ხშირად გვხვდება კაკლის (უჯგლანს *regia*), თხილის (*Corylus*), კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) მტვერი. კულტურული ვაზის მტვერი აღმოჩენილია არა მარტო განამარხებული ნიადაგის სპექტრში, არამედ იმ ორგანული ნარჩენების ნიმუშებში, რომლებიც აღებულია მიცვალებულთა კბილებსა (ტაბ. III) და მუცლის არედან. ვაზის ძალიან ბევრი მტვერი აღმოჩნდა № 54 სამარხის ჭურჭლის (ინვ. № 338) ქვეშ, იატაკიდან აღებულ ნიმუშში. არაპალინოლოგიური ხასიათის ფოსილიების ჯგუფში ნაპოვნია მუხის პარენქიმული უჯრედები, რომლებიც მრავლადაა სამარხთა გადასახური ძელების ნარჩენებში. ხოლო ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები დაფიქსირებულია მიცვალებულის ჩონჩხისა და თიხის ჭურჭლის ქვეშ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შესწავლილი სამარხების თითქმის 50% გადახურული იყო ძელებით. მიცვალებულთა ჩონჩხის ქვეშ მრავლადაა აღმოჩენილი სელისა და ბამბის ქსოვილის ბოჭკოების ნაშთები (ტაბ. IV). უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ბამბის ქსოვილის აღმოჩენის ყველაზე ადრეული ფაქტი, არამარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მთელ ამიერკავკასიაში [Kvavadze, Narimanishvili 2006b]. შალის ბოჭკოები სამარხებში ნაკლებადაა აღმოჩენილი. რამდენიმე სამარხში მიცვალებულთა მუცლისა და ტერფის არეში დაფიქსირდა ადამიანის ჰელმიტების, კერძოდ, ღორის სოლიტერის (თაენია *solium*) კვერცხები.

**ჯინისის ნამოსახლარის კულტურული ფენები.** ნამოსახლარი მდებარეობს წალკის პლატოს დასავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 1569-1572 მ-ზე. ნამოსახლარის ქვედა ფენები არქეოლოგიური მასალის მიხედვით ძვ.წ. XVII-XVI სს-ით, ხოლო ზედა ფენები და სამეურნეო ორმოები – ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება [Амирранашვილი, Нариманашвили 2005, 42-43]. პალინოლოგიური კვლევისათვის ქვედა ფენებიდან შერჩეული და შესწავლილია 8 ნიმუში, ხოლო ზედა ფენებიდან – 6 ნიმუში. ძვ.წ. XVII-XVI სს-ით დათარიღებული ფენების სპექტრში ხემცენარეებიდან ბევრია ფიჭვისა და არყის ხის მტვერი, რომლებიც თანაბარი რაოდენობითაა (38 – 38%) წარმოდგენილი. აღმოჩენილია აგრეთვე თელას, თხილის, მურყანის მტვერი. სპოროვანი მცენარეებიდან ბევრია ტყის კომპონენტების, მაგალითად მთის ჩადუნას (*Dryopteris filix-mas*) სპორები. ბალახეულ ჯგუფში ბევრია სარეველები. მარცვლოვანთაგან აღმოჩენილია ხორბლის მტვერი. მარცვლოვნების, ისევე როგორც ნათესის თანმხლები სარეველების მტვერი, არც ისე ბევრია აღმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ ნამოსახლარის ზედა ფენებში და სამეურნეო ორმოებში აღებული ნიმუშების მტვრის სპექტრი სრულიად განსხვავებულია ქვედა ფენების სპექტრებისაგან. ზედა ფენებში და სამეურნეო ორმოებში არ

გვხვდება არყის ხის მტვრის მარცვლები, სამაგიეროდ ჭარბობს რცხილისა და ჯაგრცხილას მტვე-რი. პირველი სახლის № 3 სამეურნეო ორმოში აღმოჩნდა წაბლის მტვერი. ბევრია სათესი მარცვლე-ული, რომელშიც შედის ხორბალი და ჭვავი. ხორბლის მარცვლებზე შეინიშნება ცეცხლის კვალი. მრავლადაა მარცვლოვანთა კულტურების სარეველები, განსაკუთრებით სხვადასხვა სახეობის ღილილი (Centaurea), მატიტელა (Polygonum), ნარშავი (Carduus), ნაცარქათამა (Chenopodium) და სხვ.

**განამარხებული ნიადაგი და ორგანული ნაშთები იმერას სამაროვნიდან.** ძეგლი მდებარე-ობს იმერას ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ზღვის დონიდან 1600 მ-ის სიმაღლეზე. არქეოლოგიური მასალის მიხედვით სამაროვანი ძვ.წ. XV-XIV სს-ით თარიღდება. პალინოლოგიურად შესწავლილია 6 ნიმუში, რომლებიც აღებულია ოთხი სამარხიდან და წარმოადგენს განამარხებულ ნიადაგს და თიხის ჭურჭელში დაფიქსირებულ ორგანულ ნაშთებს. ყველაზე საინტერესოა № 7 სამარხი, სადაც ერთ-ერთ ჭურჭელში (ინვ. № 187), როგორც ჩანს, იყო ცხიმი, და № 6 სამარხის მასალა, სადაც № 180 ჭურჭელში აღმოჩნდა თაფლის ან თაფლუჭის ნაშთი. ორივე ნიმუში შეიცავს ცაცხვის, რცხი-ლის, მურყანის, ტირიფისა და წიფლის მტვრის მარცვლებს. წიწვოვნებიდან დომინირებს ფიჭვი და სოჭი, ცოტაა ნაძვის მტვრის მარცვლები. № 7 სამარხის ჭურჭელში (ინვ. № 187) მრავლადაა გვიმ-რის სპორები, განსაკუთრებით გვიმრუჭა (Asplenium), კილამურა (Polypodium vulgare), კრიპტოგრამა (Cryptogramma crispa). აქვე ბევრია სათეს მარცვლოვანთა, მათ შორის ხორბლის, მტვერი. არანაკლებ საინტერესოა № 6 სამარხის ჭურჭელის (ინვ. № 180) ნიმუშში დადასტურებული ბალახოვნების შემადგენლობა. იგი დიდი რაოდენობით შეიცავდა თაფლოვანი მცენარეების ყვავილის მტვერს, რომელთა შორის მრავლადაა ტყის კომპონენტები, როგორიცაა ლაშქარა (Symphytum). სპექტრში დომინირებს ისეთი თაფლოვანები, როგორიცაა არჯაკელი (Lathyrus), ორფერა (Pulmonaria), სამყურა (Trifolium), ალკანა (Alkanna orientalis). ამასთანავე ალსანიშნავია, რომ ზოგადად ზემოთ ჩამოთ-ვლილი მცენარეების მტვერი ცუდად ინახება და ამიტომ ნიადაგში თითქმის არ გვხვდება. ალკა-ნა ძალიან იშვიათად ინახება ტბისა და ჭაობის დანალექ ფენებშიც კი. ხოლო თაფლი, რომელიც წარმოადგენს ბრნყინვალე კონსერვანტს, შესანიშნავად ინახავს ამ მცენარის მტვერს. ალკანას მტვერი ჩვენს მიერ ნაპოვნია თანამედროვე თაფლის მრავალ ნიმუშში. საინტერესოა ჩამოთვლილი თაფლოვანი მცენარეების ეკოლოგია. სამყურას (Trifolium) გარდა, ყველა მცენარე წარმოადგენს ტყისათვის დამახასიათებელ სახეობებს, ამავე დროს დღეს ისინი იზრდებიან დაბალ და მთის შუა სარტყლის ტყეებში [Гроцгейм 1946, 1949; Кецховели 1964].

**აი-ილიას ანტიკური ხანის ნამოსახლარის კულტურული ფენები.** აი-ილიას მთის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1660 მ-ზე გაითხარა ანტიკური ხანის ნამოსახლარი, რომელიც თარიღ-დება ძვ.წ. V ს-ით. ძეგლიდან შესწავლილია 6 ნიმუში. პალინოლოგიურ სპექტრში ტყის კომპონენტებიდან ბევრია ფიჭვისა და მაღალმთის მუხის მტვერი. ნაპოვნია სოჭისა და ნაძვის მტვრის მარცვლები. ფართოფოთლოვანთაგან მუხის გარდა, ალსანიშნავია წიფელი, რცხილა და ჯაგრცხილა. ბალახოვანი მცენარეები წარმოადგენილია საკმაოდ კარგად. ბევრია რუდერალური მტვერი, რომელიც მომდინარეობს ეზოებიდან, გზებიდან, სანაცვე ადგილებიდან. ცოტა, მაგრამ მაინც აღმოჩნდა სათესი მარცვლოვნების მტვერი, სადაც დომინირებს ხორბალი. ბევრია პასკვალური ჯგუფის მტვერი. გარდა ამისა, ინტენსიური მეცხველეობის არსებობას ადასტურებს პალინოსპექტრში კოპროფილური სოკოების – *Sordaria, Neurospora, Sporormiella* – სპორების სიჭარბე. არაპალინოლოგიური ფოსილიებიდან ალსანიშნავია ცხვრის მატყლი, რაც მიუთითებს მეცხვარეობის განვითარებაზე.

**ალიგელის ტბის ჭრილი (სოფ. სანთასთან).** გაბურლვით მიღებული დანალექი ფენების სიღრმე 3.10 მ-ია და წარმოდგენილია ტბიური თიხისა და საპროპელის მონაცვლეობით. პალინოლოგიურ დიაგრამაზე გამოიყოფა 6 პალინოზონა (ტაბ. V<sub>A</sub>). პირველ და მეორე პალინოზონისათვის დამახასიათებელია მტვრის მინიმალური კონცენტრაცია. ხე-მცენარეთა მტვრის შემცველობა განსახილველ ზონაში ასევე დაბალია (დიაგრამაზე ცალკეული ხე-მცენარეთა პროცენტული შემადგენლობა გამოთვლილია ხე-მცენარეთა ჯგუფის რაოდენობიდან). ბალახეულის მტვერში ჭარბობს ცივი და მშრალი სტეპების კომპონენტები. ეს არის აბზინდის, ნაცარქათამასა და ველურ

მარცვლოვანთა მტვერი. პირველ პალინოზონაში ბევრია ღვის და ეფედრას მტვრის მარცვლები. 309 სმ-ზე აღებული შრე, რომელიც პირველ პალინოზონაში შედის, რადიონებშირადული მეთოდით თარიღდება  $12400 \pm 90$  BC. მეორე პალინოზონა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ემსგავსება პირველ პალინოზონას, მაინც მკვეთრად განსხვავდება მისგან. აღინიშნება სუპალპური ზონის კომპონენტები, მაგ. არყის ხე. აქ მატულობს ეფედრისა და თხილის მტვრის რაოდენობა. 285 სმ-ის სიღრმის დანალექების აბსოლუტური ასაკი შეადგენს  $10\ 102 \pm 90$  BC, ხოლო 252 სმ სიღრმეზე  $9\ 045 \pm 160$  BC (Connor 2006; Kvavadze დр. 2007).

მესამე პალინოზონისათვის დამახასიათებელია მტვრის რაოდენობის ზრდა, განსაკუთრებით ტყის ელემენტებისა (ტაბ. V<sub>A</sub>). ბევრია სოჭის (*Abies*), ნიფლის (*Fagus*), მუხის (*Quercus*), რცხილას (*Carpinus*), თელის (*Ulmus*), თხილის (*Corylus*) მტვერი. აქ ჩნდება და მაქსიმალურ რაოდენობას აღნევს სითბოს მოყვარული ისეთი მცენარეების მტვერი, როგორიცაა ძელქვა (*Zelkova*) და ცაცხვი (*Tilia*). ასევე იზრდება ფართოფოთლოვანთა მტვრის რაოდენობა, მათ შორისაა ნეკერჩხალი (*Acer*), ნაბლი (*Castanea*), ლაფანი (*Pterocarya*). ამავე დროს მნიშვნელოვნად მცირდება მაღალმთიანი ტყისათვის დამახასიათებელი სიცივის მოყვარული კომპონენტები, მაგალითად არყის ხე. სწორედ მესამე პალინოზონაში ჩნდება და დიდ მნიშვნელობას აღნევს სათესი მარცვლოვნების – ქერის (*Hordeum*), ხორბლის (*Triticum*), ჭვავის (*Secale*) მტვერი. ჩნდება კულტურული ვაზი (*Vitis vinifera*). აღნიშნული ზონის ზედა ნაწილში მრავლადაა ნაპოვნი ნახშირის ნაწილაკები, რაც მაჩვენებელია ხანძრებისა, რომელიც საახოო მიწათმოქმედების განვითარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. 219 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩენილი ნახშირის ნაწილაკების აბსოლუტური თარიღია  $3095 \pm 40$  BC, ხოლო 203 სმ-ის სიღრმეზე –  $3375 \pm 50$  BC.

მეოთხე პალინოზონა გამოირჩევა მტვრის კონცენტრაციის ზრდით. პალინოსპექტრში მცირდება მეზოფილური ხემცენარეების – ნიფლისა და სოჭის მტვრის მარცვლები. მატულობს ისეთი გვალვაგამძლე ელემენტების მტვრის რაოდენობა, როგორიცაა ფიჭვი და მუხა. ნინა პალინოზონასთან შედარებით ასევე მატულობს ღვის (*Juniperus*) მტვრის შემცველობა. ბალახოვანთა შორის ბევრია მარცვლოვნები. ნახშირის ნაწილაკები საერთოდ არ ფიქსირდება. აღნიშნული ზონის 165 სმ-ზე მდებარე დანალექი შრეების თარიღია  $2517 \pm 50$  BC.

მეხუთე პალინოლოგიური ზონის ნიმუშები ხასიათდება მტვრის მაქსიმალური კონცენტრაციით. შესამჩნევად მატულობს ტენის მოყვარული მცენარეების, განსაკუთრებით ნიფლისა და რცხილის როლი. მუხის მტვრის შემცველობა მკვეთრად ეცემა, ხოლო ფიჭვისა, პირიქით, მკვეთრად მატულობს (ტაბ. V<sub>A</sub>). ბალახოვანთა ჯგუფში დომინირებს მარცვლოვნები. საინტერესო ფაქტს წარმოადგენს სათესი მარცვლოვანების და ვაზის მტვრის შემცველობის ერთდროული მატება. აქ ასევე ბევრია ნახშირის ნაწილაკები. 147 სმ-ის სიღრმეზე მდებარე დანალექი ფენები თარიღდება  $829 \pm 40$  BC, ხოლო 110 სმ-ს სიღრმეზე მდებარე –  $549 \pm 40$  AD.

მეექვსე პალინოზონისათვის დამახასიათებელია მტვრის რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება და ნახშირის ნაწილაკების ზრდა. პალინოლოგიურ სპექტრში შეინიშნება ანთროპოგენური ინდიკატორების ჯგუფის მცენარეთა მტვრის, განსაკუთრებით კი ძოვის მაჩვენებლების (ნაცარქათამა, ავშანი) მატება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პალინოზონის ზედა ნაწილში იზრდება კოპროფილური სოკოს (*Sporormiella* და *Sbz*). სპორების რაოდენობა, რომლებიც ჩვეულებრივ ფიტოფაგი ცხოველის ექსკრემენტებში გვხვდება. დანალექი ფენების აბსოლუტური თარიღი  $70$  სმ-ის სიღრმეზე არის  $1091 \pm 40$  AD, ხოლო  $38$  სმ-ის სიღრმეზე –  $1780 \pm 40$  AD.

**იმერას ტბის ჭრილი.** გაბურღული დანალექი ფენების სიღრმე  $330$  სმ-ია, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან თიხისა და საპროპელის შრეები. ჭრილის ზედა ნაწილში ჩნდება ნიადაგური წარმოშობის ფენები. იმერას ტბის მტვრის დიაგრამაზე გამოიყოფა  $5$  ზონა (ტაბ. V<sub>B</sub>).

პირველ ზონაში ბევრია ხე-მცენარეთა მტვერი და ის შეესაბამება ალიგელის ტბის მე-3 ზონას.

უხვადაა წარმოდგენილი სითბომოყვარული ელემენტები: რცხილა (*Carpinus caucasica*), ცაცხვი (*Tilia*), იფანი (*Fraxinus*), ძელქვა (*Zelkova*), ნაბლი (*Castanea*), თელა (*Ulmus*), ნიფელი (*Fagus*). ბალახოვანთა ჯგუფში დომინირებს მარცვლოვანთა და რთულყვავილოვანთა მტვერი. აღსანიშნავია ანთრო-

პოგენური ინდიკატორები – ხორბალი, ჭვავი, სელი. არის აგრეთვე მინდვრის სარეველების მტვე-რი. ჭრილის ზედა ფენაში ნახშირის ნაწილაკები დიდი რაოდენობით ჩნდება. 271 სმ-ის სიღრმეზე შრეების რადიონახშირბადული თარიღი  $5521 \pm 60$  BC (Connor 2006; Kvavadze et al. 2007).

მეორე პალინოზონა იდენტურია ალიგელის ჭრილის მე-4 ზონისა და აქვს შემდეგი თავისებურებები. ხემცენარეთა ჯგუფში დომინირებს მუხა. არის ცაცხვისა და თხილის მტვერი. ბალახეულ მცენარეთა შორის ჭარბობს მარცვლოვნები, ბევრია ანთროპოგენური ინდიკატორები – ხორბალი (*Triticum*), ქერი (*Hordeum*), ჭვავი (*Secale*), ფეტვი (*Panicum*) და მათი თანმხელები სარეველები. აღინიშნება კულტურული ვაზის მტვერიც. ნახშირის ნაწილაკები ბევრია ზონის დასაწყისში. დანალექი ფენების აბსოლუტური თარიღი 230 სმ-ის სიღრმეზე არის  $2897 \pm 50$  BC, ხოლო 198 სმ-ის სიღრმეზე  $2517 \pm 110$  BC.

მესამე პალინოზონისათვის დამახასიათებელია მუხის რაოდენობის შემცირება, ხოლო სოჭისა და ფიჭვის მტვრის რაოდენობის ზრდა. განსაკუთრებით მკვეთრად ეს გამოხატულია ზონის ქვედა დონის შრეებში. ძალიან ცოტაა ნახშირის ნაწილაკები. პალინოლოგიური ზონის ზედა ნაწილში, 146 სმ-ის სიღრმეზე რადიონახშირბადული თარიღია  $400 \pm 40$  BC. აღნერილი ზონა შეესაბამება ალიგელის ჭრილის მე-5 ზონას. ყველაზე მეტი მსგავსება ვლინდება პალინოზონის ქვედა ნაწილის სპექტრში.

მეოთხე პალინოზონის ქვედა ნაწილის ხემცენარეთა ჯგუფში დომინირებს ფიჭვი, რომლის მტვრის რაოდენობა განხილული პალინოზონის ზედა ნაწილში თანდათან მცირდება. ქვედა ზონას-თან (მე-3 პალინოზონა) იზრდება ბალახოვანთა მტვრის შემცველობა, განსაკუთრებით შესამჩნევია ღია ლანდშაფტებისათვის დამახასიათებელი კომპონენტების მატება. ბევრია ანთროპოგენური ინდიკატორების მტვერი. მკვეთრად მატულობს ნახშირის ნაწილაკების რაოდენობა. 115 სმ-ის სიღრმეზე დანალექი ფენის რადიონახშირბადული თარიღია  $421 \pm 40$  AD.

მეხუთე ზონას ახასიათებს მეორადი ტყის ელემენტების როლის ზრდა. მრავლადაა ჯაგრცხილასა და თხილის მტვერი. ბალახოვნების ჯგუფში არსებითად გაიზარდა სინანთროპული მცენარეების რაოდენობა. მრავლადაა ხორბალი და სარეველა მარცვლოვნები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სპექტრში იზრდება ზეთისხილის როლი, რომლის მტვერი წინა, მეოთხე პალინოზონაში პირველად ჩნდება.

ზეთისხილთან ერთად პალინოსპექტრში დაფიქსირებულია კულტურული ვაზი, კაკალი და თხილი, რაც მებალეობის ინტენსიურ განვითარებაზე მიუთითებს. აღმოჩენილია საძოვრის ინდიკატორები და ადამიანის საცხოვრებლის რუდერალური ელემენტები. მრავლად გვხვდება ნახშირის ნაწილაკები. 54 სმ სიღრმეზე რადიონახშირბადული თარიღი  $1020 \pm 40$  AD. ყველა დათარიღება აბსოლუტურია და მათი კალიბრირება მოცემულია პირველ ტაბულაზე.

**აი-ილიას ნიადაგის 1-ელი ჭრილი.** განხილული ჭრილი მდებარეობს აი-ილიას მთის თხემის ოდნავ დაფერდებულ მონაკვეთზე. თხრილით მოიხსნა 150 სმ-ის სისქის ნიადაგი. ჰუმუსის ფენა 40 სმ-ის სიმაღლისაა, რომელიც შემდეგ გადადის ყვითელი ფერის თიხნარში. ყველაზე ქვედა ფენის პალინოსპექტრი ხასიათდება ხემცენარეების მტვრის მაქსიმალური შემადგენლობით, რომელთა შორის ბევრია თერმოფილური ელემენტები – მუხა (*Quercus*), ცაცხვი (*Tilia*), რცხილა (*Carpinus*), კაკალი (*Juglans regia*), თხილი (*Corylus*) (ტაბ. VI).

ჭრილში გამოიყორვა პალინოლოგიური ზონა. 150-105 სმ-ის სიღრმეზე (1 და მე-2 პალინოზონები) ბევრია მურყნის (*Alnus*) მტვერი. ანთროპოგენული ინდიკატორების ჯგუფში ბევრია რუდერალური მცენარეების მტვერი. აღსანიშნავია სათესი მარცვლოვნებისა და მათი თანმხელები სარეველების მტვერი. სპოროვანთა შორის ბევრია გვიმრები. პირველი ზონა შეესაბამება ალიგელის ჭრილის მე-2 ზონის დასასრულს, მეორე კი – მთლიანად ასახავს ალიგელის დიაგრამის მე-3 პალინოსპექტრის ხასიათს.

105–90 სმ-ის სიღრმეზე მდებარე ფენა მოიცავს მე-3 პალინოზონას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მეზოფილური ელემენტების მტვრის რაოდენობის შემცირება და გვალვაგამძლეთა მცენარეთა მტვრის მატება. ანთროპოგენური ინდიკატორების შორის რუდერალური მცენარეების

მტვრის რაოდენობა არსებითად მცირდება, საძოვრების ინდიკატორების როლი კი იზრდება. საერთოდ არ აღინიშნება სათესი მარცვლოვნების და მინდვრის სარეველები. გამოყოფილი პალინოზონა შეესაბამება ალიგელის ჭრილის მე-4 ზონას.

მეოთხე პალინოზონის სპექტრში, 90-70 სმ-ის სიღრმეზე აღინიშნება ხემცენარეების, განსაკუთრებით ფიჭვის, რაოდენობის ზრდა. მატულობს ანთროპოგენური ინდიკატორების მტვრის რაოდენობა, სათესი მარცვლოვნების ჩათვლით. ეს პალინოზონა შეესაბამება ალიგელის ჭრილის მე-5 ზონას.

70-52 სმ სიღრმის ფენაში (პალინოზონა 5) დაფიქსირებულია ხე-მცენარეების, განსაკუთრებით ფიჭვის რაოდენობის არსებითი შემცირება. ანთროპოგენური მტვრის ჯგუფში მკვეთრად იზრდება კომპონენტები, რომლებიც მიუთითებენ ინტენსური ძოვების არსებობაზე. ანალოგიური ზონა ალიგელის ტბის ჭრილში არ დაფიქსირებულა.

აი-ილიას ნიადაგის 1-ელი ჭრილის დიაგრამის ზედა ნაწილის (6-8 პალინოზონები (ტაბ. V) მრუდეები შეესაბამება ალიგელის ტბის ჭრილის მე-6 პალინოზონას და ახასიათებს ფიჭვის მტვრისა და ანთროპოგენური ინდიკატორების ჯგუფის ყველა კომპონენტის დიდი რაოდენობა. ტბების დანალექებისაგან განსხვავებით ნიადაგის ჭრილში მკვეთრად გამოიყოფა სამი ქვეზონა.

**აი-ილიას ნიადაგის მე-2 ჭრილი 1-ელი** ჭრილის ჩრდილოეთით 100 მ-ის დაცილებით მდებარეობს. ნიადაგი გაიჭრა 95 სმ-ის სიღრმის თხრილით. ჰუმუსის ფენა 45 სმ-ის სიმაღლისაა და თანდათან გადადის მოყვითალო ფერის შრეში. ჭრილში წარმოდგენილი ნიადაგი, განსაკუთრებით ქვედა ფენა, აი-ილია 1-ელთან შედარებით, გამოიჩინა დიდი სინოტივით. მთლიანობაში მე-2 ჭრილიდან აღებული მასალა შეიცავს მტვრის დიდ რაოდენობას. გამოიყოფა 6 პალინოლოგიური ზონა (ტაბ. VII).

პალინოლოგიური დიაგრამის ქვედა ნაწილის (პალინოზონა 1, სიღრმე 95-75 სმ) სპექტრებს ახასიათებს ხემცენარეებისა და სარეველების მტვრის მნიშვნელოვანი შემცველობა. აქვე აღმოჩნდა სათესი მარცვლოვნების, კულტურული ვაზისა და თხილის მტვრის მარცვლები. აღნიშნული ზონა მსგავსია ალიგელის ტბის ჭრილის მე-4 პალინოზონის ქვედა ნაწილისა.

75-45 სმ-ის სიღრმეზე (მე-2 და მე-3 პალინოზონები) გამოვლინდა იგივე თავისებურება, რაც ალიგელის ჭრილის მე-5 პალინოზონას ახასიათებს - ხემცენარეების მტვრის, განსაკუთრებით ფიჭვის, საერთო რაოდენობის ზრდა.

დიაგრამის ზედა ნაწილი (4-6 პალინოზონები) შეესაბამება ალიგელის ტბის ჭრილის მე-6 ზონას.

**აი-ილიას ნიადაგის მე-3 ჭრილი** მდებარეობს მე-2 ჭრილის დასავლეთით 60-65 მ-ის დაშორებით. აღნიშნული ფართობი სწორი ზედაპირით ხასიათდება. გაიჭრა 75 სმ-ის სიღრმის თხრილი, სადაც ნიადაგი ტენიანი იყო. ჰუმუსის ფენა 46 სმ სისქისაა. ნიადაგის ნიმუშებში მაღალია მტვრისა და სპორების შემცველობა. სპოროვანი მცენარეები აქ უფრო მეტია, ვიდრე აი-ილიას მე-2 ჭრილში. დიაგრამის ქვედა ნაწილი (პალინოზონა 1, სიღრმე 75-55 სმ) ხასიათდება ხემცენარეების მტვრისა და ტყის გვიმრის სპორების მაქსიმალური რაოდენობით. ხე-მცენარეებს შორის დომინირებს ფიჭვი და მურყანი. ანთროპოგენული ინდიკატორების ჯგუფში მინდვრის სარეველები თითქმის არ არის, მრავლადაა იმ მცენარეების მტვერი, რომლებიც საძოვრების არსებობაზე მიუთითებენ.

დიაგრამის ზედა ნაწილი (სიღრმე 55-0 სმ) განეკუთვნება მე-2 პალინოზონას, რომელშიც სამი ქვეზონა გამოიყოფა. ხემცენარეთა რაოდენობა თანდათან მცირდება, ხოლო სინანტროპული მტვრის რაოდენობა იზრდება. სათესი მარცვლეულის, მათ შორის ხორბლისა და ქერის მტვერი მრავლადაა დაფიქსირებული მე-2 ქვეზონაში. 1-ელი და მე-2 პალინოზონები შეესაბამება ალიგელის მე-5 და მე-6 ზონებს.

**თანამედროვე მტვრის სპექტრის ხასიათი.** ტბების და ტბა-ჭაობების წარმონაქმნების სუბფოსილური პალინოლოგიური სპექტრების დეტალური ანალიზი გარეჯი-თრიალეთი-ჯავახეთის ტრანსექტზე განხილულია ნაშრომში „თანამედროვე მტვრისა და მცენარეული საფარის გამოკვლევა სამხრეთ საქართველოს ვერტიკალურ ტრანსექტზე“ [Connor et al. 2004]. დადგენილია, რომ

ტბების და ტბა-ჭაობების სპექტრში ხემცენარეების მტვრის რაოდენობა ტყის ლანდშაფტების გავრცელების არეალში ძლიერ შემცირებულია და შეადგენს არაუმეტეს 30-40%-ს. ანალოგიური სურათი მივიღეთ აი-ილიას მთის სამხრეთ ფერდობზე არსებული ფიჭვნარის ნიადაგის შესწავლი-სას. აღნიშნული ტყე გაშენებულია გასული საუკუნის 60-იან წლებში, იგი კარგადაა განვითარებული, რადგან მას გააჩნია თვითგანახლება. ფიჭვის ტყის სპექტრში ხემცენარეების მტვრის საერთო რაოდენობა საშუალოდ 40% შეადგენს (ტაბ. VIII). მაშინ როცა კავკასიის სხვა რეგიონების ამგვარ ტყეებში იგი როგორც წესი 80-95% აღნევს [Клопотовская 1973; Kvavadze, Рухадзе Л. 1989; Kvavadze 1993]. ხემცენარეების მტვრის შემადგენლობა ტყემლარას (თეთრიწყაროს რაიონი) მიღამოების შავმინანიადაგშიცაა შემცირებული [Kvavadze et al. 2004]. ამასთან დაკავშირებით ვთვლით, რომ მცენარეული საფარის რეკონსტრუქციისას უნდა გავითვალისწინოთ ტყის ყველა კომპონენტის შემცველობა, მაგალითად გვიმრების სპორებისა, რომლებიც ტყის ნიადაგში შესანიშნავად ინახება. დიაგრამის შედგენისას ცალკეული ხემცენარის პროცენტული შემცველობის დაანგარიშება უნდა ხდებოდეს, არა მტვრის საერთო რაოდენობიდან გამომდინარე, როგორც დღესაა მიღებული, არამედ ხემცენარეების მტვრის შემადგენლობიდან.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ფაქტობრივი მასალის მიხედვით, წალკის პლატოზე, უკანასკნელი 15 000 წლის განმავლობაში, ლანდშაფტის განვითარებაში შემდეგი ეტაპები გამოიყოფა.

ვიურმის უკანასკნელი გამყინვარების შემდეგ, რომლის მაქსიმალური ფაზა ევრაზიის კონტინენტზე 18000 წლის წინ იყო, კლიმატი თანდათან გაუმჯობესდა [Tarasov et al. 1999]. მაგრამ 15000 წლის წინათ ისევ აცივდა, რასაც მოწმობს ალიგელის ტბის ჭრილის მტვრის სპექტრის შემადგენლობა. წალკის პლატოს მცენარეული საფარი ზემოალპური ტიპის იყო, რომელიც შეიცავდა აგრეთვე სუბნივალური სარტყელის კომპონენტებს. აქ იზრდებოდა გამეჩერებული დაბალი ბალანი, აგრეთვე მღიერები, ლიკოპოდიუმი და ხავსი. ეფედრასა და ყველა ხემცენარეთა მტვერს ჩვენ ვთვლით ქვედა სარტყელებიდან შემოტანილად. ადგილობრივად არ შეიძლება ჩაითვალოს ნაცარქათამასებრთა და ავშანის მტვერი, რომელიც კარგად ვრცელდება შორ მანძილზე. კავკასიის სუბნივალური ტბების თანამედროვე დანალექ ფენებში ისინი ყოველთვის მრავლადაა, თუმცა კავკასიის მაღალმთაში ეს ბალახოვნები არ იზრდება [Kvavadze, Efremov 1995].

**ცხრილი 1.** იმერასა და ალიგელის ტბების დანალექი შრეების სინჯეების ნახშირბადული დათარიღება; კალიბრირებული თარიღი გამოთვლილია სტუივერ-რეიმერის (შტუივერ, Reimer 1993) სისტემის მიხედვით.

ადგილი, სილრმე	ლაბ. №№	რადიონახშირბადული დათარიღება	კალიბრირებული დათარიღება
იმერა, 54 სმ	OZG-619	1010±40	968-911
იმერა, 115 სმ	OZG-624	1630±40	1566-1509
იმერა, 146 სმ	OZH-067	2360±40	2363-2335
იმერა, 189 სმ	OZG-623	4903±110	4648-4405
იმერა, 230 სმ	OZH-399	4290±50	4877-4822
იმერა, 271 სმ	OZH-398	6590±60	7505-7434
ალიგელი, 38 სმ	OZH-397	190±40	209-146
ალიგელი, 70 სმ	930±40	OZH-396	873-816
ალიგელი, 110 სმ	OZH-395	1510±40	1420-1333
ალიგელი, 147 სმ	OZH-394	2700±40	2798-2763
ალიგელი, 165 სმ	OZH-393	4030±50	4530-4424
ალიგელი, 203 სმ	OZH-393	4660±50	5460-5364
ალიგელი, 219 სმ	OZH-391	4450±40	5063-4972
ალიგელი, 252 სმ	OZH-390	9340±160	11115-10677
ალიგელი, 285 სმ	OZH-389	10250±90	12168-11892
ალიგელი, 309 სმ	OZH-388	12430±90	14949-14147

მეორე ეტაპზე, 13000 წლის წინ, ლანდშაფტი ქვედაალპური გახდა, სადაც სუბალპური სარტყელის კომპონენტებიც იყო წარმოდგენილი. ალპურ მდელოებზე ჭარბობდა მარცვლოვანი ბალახები, ღრმა ხევებში კი იზრდებოდა სუბალპური ტანბრეცილი ტყე, არყის ხისა და მდგნალის შემადგენლობით, რომლებმაც, შესაძლოა გამყინვარების პერიოდი გადაიტანეს მდინარეების ღრმა ხეობებში (მაგ. ხრამის ხეობა).

მესამე ეტაპზე, 9000 წლის წინ, კლიმატი დათბა და წალკის პლატოზე წარმოიქმნა ტყეები მაღალმთის მუხის (*Quercus macranthera*) დომინირებით.

როგორც მცენარეულობის, ისე კლიმატის განვითარების შემდგომი მეოთხე ეტაპი მთლიანობაში ასახავს ატლანტური პერიოდის გლობალური დათბობის პირველ პიკს. ამ დროს იზრდება აგრეთვე წალექების რაოდენობა. განხილულ პროცესს ადგილი ჰქონდა 6,5 – 6 ათასი წლის წინ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში [Tarasov et al. 1998]. აღნიშნულ პერიოდში წალკის პლატოზე იზრდებოდა რცხილა, წიფელი, ქართული მუხა, ძელქვა, ცაცხვი. დასაშვებია, რომ ღრმა ხეობებში, მაგ. ხრამის ხეობაში, იზრდებოდა წაბლი და ლაფანი. მიმდებარე მაღალ მთებში ჭარბობდა სოჭი, რომელიც წაძვთან შედარებით წარმოადგენს უფრო სითბოსა და ნესტის მოყვარულ მცენარეს. ადამიანი ამ პერიოდში ინტენსიურადა დაკავებული მიწათმოქმედებით, რასაც თბილი და ნოტიო კლიმატის გარდა, ხელს უწყობდა ნაყოფიერი შავმიწანიადაგის არსებობა. კარგად იყო განვითარებული მებალეობა და მევენახეობა.

მცენარეულობისა და კლიმატის განვითარების მეხუთე ეტაპზე აღინიშნება სითბოს მოყვარული სახეობების – რცხილის, წიფელის, ძელქვისა და ცაცხვის ტყეების ფართობის შემცირება. მაღალმთის მუხისა და არყის ხის ტყეები, პირიქით, ფართოდ ვრცელდება. შეიცვალა კულტურული ლანდშაფტების ტიპი, მიწათმოქმედება აღარ დომინირებდა, გაიზარდა საძოვრების ფართობი, გაქრა მევენახეობა. ლანდშაფტის ამ ცვლილებებს, ნახშირბადული დათარიღების მიხედვით, ადგილი ჰქონდა 5300 წლის წინ და გამოწვეული იყო კლიმატის აცივებით.

ლანდშაფტის განვითარების მექქსე ეტაპი მიეკუთვნება ატლანტიკური დათბობის მეორე მაქსიმუმს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 5000-4600 წლის წინ ე.ი. ადრეპრინჯაოს ხანაში. კვლავ გაიზარდა თერმოფილური მცენარეული საფარის ფართობი – განსაკუთრებით ქართული მუხის, გაჩნდა ინტესიური მიწათმოქმედება, მებაღეობა და მევენახეობა. ეს იყო ძალზე ძლიერი დათბობა, რომელიც სამხრეთ საქართველოს მთისწინეთში და მაღალმთიანეთშიც აისახა. მაგალითად, ჯავახეთში სოფ. ტამბოვკასთან, ზღვის დონიდან 2 100 მ სიმაღლეზე ფარავნის ტბასთან მდებარე ყორლანის განამარხებული ნიადაგის სპექტრში ჩვენს მიერ აღმოჩენილია რცხილის, ცაცხვის, მუხის და ბზის მტვრის დიდი რაოდენობა. მრავლადა სათესი მარცვლოვანების, მათ შორის ხორბლის მტვერი. ყორლანი თარიღდება ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით [Kvavadze, Kakhiani 2007]. სოფ. საკირეს სამხრეთით, ზღვის დონიდან 2 289 მ-ზე მდებარე კოდიანის ყორლანის განამრხებულ ნიადაგსა და ფოსილური თაფლის ნაშთში აღმოჩნდა ფართოფოთლოვანი სითბოს მოყვარული ხემცენარების მტვერი და შესანიშნავად შემონახული ხის ძელები და ტოტები. კოდიანის ყორლანი არქეოლოგიური მასალის მიხედვით თარიღდება ძვ.წ. XXVI-XXIV სს-ით [Квавадзе и др. 2004; კვავადვა 2006; Kvavadze et al. 2006].

მცენარეულობისა და კლიმატის განვითარების მეშვიდე ეტაპზე ხდება სუბპორეალური აცივება და ნალექების რაოდენობის შემცირება. წალკის რეგიონში მაქსიმალურ აცივებას ადგილი ჰქონდა 4000 – 3700 წლის წინ. კვლავ გავრცელდა მაღალმთიანი მუხის, არყის ხისა და ფიჭვის ტყეები, რომლებიც ამჟამად იზრდება ტყის გავრცელების ზედა საზღვარზე. ჯინისის კულტურული ფენების პალინოსპექტრებში მრავლადა არყის ხის მტვერი, რაც ადასტურებს აქ არყის ხის ტყეების არსებობას. ბალახოვნებს შორის იზრდება სუბალპური ელემენტები. მესაქონლეობამ თითქმის მთლიანად გამოდევნა მიწათმოქმედება.

მერვე ეტაპზე, 3500-3400 წლის წინ, ხდება კლიმატის დათბობა. რა თქმა, უნდა იგი არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც ადრე პრინჯაოს ხანაში, თუმცა ეს ცვლილებები ლანდშაფტებზე არსებითად აისახა. კვლავ გაჩნდა მუხისა და რცხილის ტყეები ცაცხვის მონაწილეობით. მიწათმოქმედება უფ-

რო ინტენსიურად განვითარდა, ვიდრე წინა პერიოდში. აღორძინდა მებალეობა და მევენახეობა, რასაც ადასტურებს საფარ-ხარბასა და იმერას სამაროვნების მდიდარი ფაქტობრივი მასალა.

მეცხრე ეტაპი ასახავს სუბატლანტიკური პერიოდის აცივებას, რომელიც ასევე გლობალურ ხასიათს ატარებდა და მას ადგილი ჰქონდა 2 500 წლის წინ. კლიმატური პირობების გაუარესება კარგადაა ნაჩვენები აი-ილიას მთის ნამოსახლარის პალინოსპექტრებში. ხემცენარეებს შორის არ არის სითბოს მოყვარული ისეთი მცენარე, როგორიცაა ცაცხვი, ნაკლებია სათესი მარცვლეული და საერთოდ არ არის კულტურული ვაზი. მეურნეობაში წამყვანი როლი ეკუთვნის მესაქონლეობას.

ლანდშაფტის განვითარების მეათე ეტაპი მოიცავს შუასაუკუნეებს (1350-800 წლის წინ), კლიმატი ხასიათდება მნიშვნელოვანი დათბობით, რომელიც კარგადაა დაფიქსირებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე [Kvavadze, Connor 2005]. წალკის პლატოზე ინტენსიურად ვითარდება მინათმოქმედება, მესაქონლეობა და მევენახეობა. აღნიშნულ პერიოდში მოჰყავთ ზეთისხილიც (*Olea europaea*), რაც კარგად ჩანს იმერას ტბის ჭრილის დიაგრამაზე. მდ. ხრამის ხეობაში ზეთისხილის გაველურებულ პლანტაციების არსებობაზე მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონი [ქც 1973].

გარდა ამისა, მეზობელ რეგიონში, არსიანის ქედზე, დიდაჭარის ტორფნარის ჭრილში, რომელიც ზღვის დონიდან 1850 მ-ზე მდებარეობს, ანტიკური ხანის ფენებში აღმოჩნდა ზეთისხილის მტვრის მარცვლები (ჟ. ვან ლევანის ზეპირი გადმოცემით. ბერნის უნივერსიტეტი). ზეთისხილის მოშენება საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდში დაფიქსირებულია წავკისის ჭრილის სპექტრითაც [Connor, Kvavadze 2005]. როგორც ჩანს ზეთისხილის ინტროდუქცია მოხდა ანტიკურ პერიოდში დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში. შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით კლიმატის დათბობისას მისი კულტივირება სხვა რეგიონებშიც ხდებოდა.

1350-800 წლის წინ მესაქონლეობა წალკის პლატოზე თუმცა კი მეორეხარისხოვანი იყო, მაგრამ საკმაოდ კარგად იყო განვითარებული. მაქსიმუმამდე გაიზარდა ადამიანის საცხოვრებლის თანმხლები სარეველების მტვერი, რაც მოსახლეობის მაღალ სიმჭიდროვეზე მიუთითებს. ეს დასტურდება არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემებითაც. შესამჩნევია ადამიანის სამურნეო გავლენა ბუნებრივ მცენარეულ საფარზე, დაინტერების განადგურება.

მცირე გამყინვარების პერიოდი, რომელსაც ადგილო ჰქონდა 300 წლის წინ, აისახა ჭრილების დანალექი ფენების სპექტრში ნაძვის მტვრის რაოდენობის ზრდით. განსაკუთრებით მკვეთრად ეს ჩანს აი-ილიას ჭრილების დიაგრამებზე, ამიტომ, ჩვენი აზრით, დასაშვებია წინვოვანი ტყეების არსებობა წალკის რეგიონის ტერიტორიაზე ამ ხანმოკლე, მაგრამ ძლიერი აცივების დროს. ვახუშტის მიხედვით ნაძვისა და ფიჭვის ტყეები იზრდებოდა ტაბანწყურის ტბის ირგვლივ, ზღვის დონიდან 1900- 2000 მ სიმაღლეზე [კეცხოველი 1959, 277]. სწორედ მაშინ გაქრა ბევრი სითბოს მოყვარული მცენარე როგორც ველურ, ისე კულტურულ ცენოზებში. XVII საუკუნეში მოსახლეობამ მტრის შემოსევების გამო მიატოვა ეს ადგილები. ტყეების სრული განადგურება, როგორც ჩანს, XIX-XX საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა, როდესაც მოსახლეობამ კვლავ აითვისა ეს ტერიტორია.

საკმაოდ საინტერესო მონაცენები მივიღეთ თავკვეთილის მთის წიფლის ტანბრეცილი ტყის ნიადაგის ჭრილის კვლევისას, სადაც 2100 მ-ის სიმაღლეზე ადრე და გვიანი შუასაუკუნეების ფენებში გამოვლენილია მუხისა და რცხილის ტყეების პალინოლოგიური სპექტრები [Arabuli et al. 2008].

ამრიგად, ტბებისა და ჭაობების დანალექი ფენების პალინოლოგიური ანალიზის შედეგების შედარება არქეოლოგიურ მასალასთან გვიჩვენებს, რომ თრიალეთში ატლანტიკური კლიმატური ოპტიმუმის მაქსიმუმი მოდის ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან II ათასწლეულის დასაწყისამდე. ამ ეტაპს ემთხვევა ადრე ბრინჯაოს ეპოქა (ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი და III ათასწლეულის შუა ხანები). აღნიშნული პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები წალკის პლატოზე რამდენიმე პუნქტში გაითხარა. ეს არის ბეჭთაშენი, ოზნი, ავრანლო, ტაშ-ბაში.

ზემოაღნიშნულ თბილ პერიოდს ემთხვევა შუაბრინჯაოს ხანის პირველი (ძვ.წ. XXVI-XXIV სს.), მეორე (ძვ.წ. XXIII-XXII სს.) და მესამე (ძვ.წ. XXI-XX სს.) ეტაპები. პირველი ეტაპის არქეოლოგიური ძეგლები (ბედენის კულტურა) შესწავლილია 5 პუნქტში: ბეჭთაშენი, სანომერი, შიპიაკი, სანთა,

ნინნყარო. მეორე და მესამე ეტაპის ძეგლებს განეკუთვნება თრიალეთის კულტურის ყორდანების პირველი და მეორე ჯგუფი.

წალკის რეგიონში სუბბორეალური აცივება დაიწყო ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში და გრძელდებოდა ძვ.წ. XVII ს-მდე. ამ ეპოქას განეკუთვნება თრიალეთის ბრწყინვალე ყორდანების III ჯგუფი.

დათბობის ახალი ეტაპი რეგიონში დაწყო ძვ.წ. XV საუკუნიდან და გრძელდებოდა თითქმის ძვ.წ. V საუკუნემდე. ამ დროს წალკის პლატოს ინტენსიურად ითვისებს ადამიანი. პალინოლოგიური მონაცემების გარდა ამას მოწმობს აქ არსებული მრავალრიცხოვანი ნამოსახლარები და სამაროვნები. არქეოლოგიური მასალა მიუთითებს ეკონომიკის მძლავრ განვითარებაზე.

ძვ.წ. V საუკუნიდან დაწყებული პერიოდი ხასიათდება კლიმატური პირობების მკვეთრი გაუარესებით, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. რეგიონში არქეოლოგიური ძეგლების რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში მცირდება.

ახ.წ. VII ს-დან დაიწყო ე.წ. კლიმატის ანომალიური დათბობის პერიოდი თრიალეთში და თითქმის XII საუკუნემდე გაგრძელდა. ეკონომიკა კვლავ აღორძინებას განიცდის. XIII-XVI სს-ში ადგილი ჰქონდა მკვეთრ აცივებას, შეინიშნება ეკონომიკის დასუსტება და მოსახლეობის რაოდენობის შემცირება. სწორედ ამ დროს ხდებოდა გარეშე მტრის მრავალრიცხოვანი შემოსევები. აღნიშნული ფაქტორების გამო XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის მოსახლეობა საერთოდ ტოვებს წალკის პლატოს.

ამდენად არქეოლოგიური და პალინოლოგიური მონაცემებით აშკარად ჩანს, რომ ეკონომიკური აღმავლობა და ტერიტორიის ინტენსიური ათვისება წარმოებდა სწორედ კლიმატის ხანგრძლივი დათბობების დროს.

**დასკვნა.** ჩვენს მიერ განხილული ფაქტობრივი მასალა და ლიტერატურული მონაცემები [Трифонов, Карабанян 2004] გვიჩვენებს, რომ კლიმატური ფლუქტუაციები ცივილიზაციის ისტორიაში მნიშვნელოვნად განაპირობებდა ადამიანის სამეურნეო საქმიანობას.

წალკის პლატოზე მიწათმოქმედების აღორძინება თბილ კლიმატურ პირობებს ემთხვეოდა, ხოლო კლიმატური ოპტიმუმის დადგომისას ასევე ვითარდებოდა მებალეობა და მევენახეობა. აცივების პერიოდებში კნინდებოდა მიწათმოქმედების როლი, ქრებოდა მებალეობა და მევენახეობა. კლიმატის გაუარესება მესაქონლეობის მძლავრ განვითარებას უწყობდა ხელს.

ზემოთ განხილული პალინოლოგიური მასალა მოწმობს, რომ უკანასკნელი 15 ათასი წლის განმავლობაში კლიმატი არაერთხელ შეიცვალა. კლიმატური ცვლილებები გლობალურ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო დათბობისკენ. აღსანიშნავია, რომ ჰოლოცენში მიმდინარე დათბობის გლობალური ეტაპი პერიოდულად ხანმოკლე აცივებებით წყდებოდა. ანალოგიური სიტუაცია დადგენილია საქართველოსა და კავკასიის სხვა რეგიონებშიც [Квавадзе, Рухадзе 1989; Ефремов, Квавадзе 1995; Квавадзе 1999; Kvavadze, Efremov 1994, 1996; Трифонов, Карабанян 2004; Kvavadze, Connor 2005].

პლეიისტოცენის ბოლოს წალკის ზეგანის ლანდშაფტები თავისი განვითარების პირველ ეტაპზე უტყვეოა. კლიმატი კი ცივი და მშრალი იყო. ჰოლოცენის დასაწყისში ლანდშაფტი ისევ ღია რჩებოდა. ატლანტიკური პერიოდიდან, როდესაც დაიწყო ტემპერატურის და ნალექების მკვეთრი ზრდა დაიწყო ტყის მასივების თანდათანობით წარმოქმნა.

გატყიანებას თანდათანობითი და ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა. ეს პროცესი უწყვეტად მიმდინარებდა. თუმცა კლიმატის პერიოდული აცივება ან ადამიანის სამეურნეო საქმიანობა ხელს უშლიდა ამ პროცესს. ანალოგიური მოვლენა შეინიშნება სამხრეთ ევროპის და ახლო აღმოსავლეთის მრავალ რეგიონში. მაგ. ვანის, ურმიისა და ზერიბარის ტბების მიდამოები გვიანი პლეიისტოცენის ცივ ეპოქაში უტყვეო იყო. ტყე აქაც კლიმატის დათბობისა და დანოტივების დროს შუა ჰოლოცენში გაჩნდა [Van Zeist, Bottema 1991; Wick et al. 2003; Wright et al. 2003; Wasylkowa, Witkowski 2008].

წალკის პლატოზე ფართოფოთლოვანი ტყის მასივები შუა და გვიანი ჰოლოცენის დათბობის მაქსიმუმის დროს გაჩნდა. ტყეში დომინირებდა ქართული მუხა, რცხილა და თელა. ასევე იზრდე-

ბოდა ცაცხვი, ჯაგრცხილა, მურყანი, თხილი, ნეკერჩხალი, იფანი, ძელქვა. თრიალეთის ყორღანების დასაკრძალავ კამერებსა და სხვა ტიპის სამარხებში დადასატურებული ხის კონსტრუქციებიც ამ რეგიონში ტყის მასივების არსებობაზე მიუთითებს.

ჰოლოცენში აცივების ხანმოკლე ეტაპები ფიქსირდება. ზოგიერთი აცივების პერიოდი მეტად ხანმოკლე, მაგრამ ძლიერი იყო (მაგ. 300 წლის წინ). ამ დროს იცვლებოდა ტყის შემადგენლობაც. სითბომოვარულ ფართოფოთლოვან ტყეებს ფიქვისა და არყის ხის ტყეები ენაცვლებოდა, სადაც მაღალმთანი მუხაც იზრდებოდა. მცირდება მინათმოქმედების როლი, მესაქონლეობა კი ინტენსიური ხდება.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ტყეების განადგურების პირველი ეტაპი შუა საუკუნეებში, იმ დროს დაიწყო, როდესაც მოსახლეობის სიმჭიდროვე ნალექის ზეგანზე ძალიან მაღალი იყო. ტყის გაჩეხვის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა XIX ს-ში, წალკის პლატოზე ახლად ჩამოსახლებული სომეხი და ბერძენი მოსახლეობის მიერ. XX ს-ის პირველ ნახევარში ტყის მასივები განადგურდა. ბუნებრივი ტყეები მხოლოდ მდ. ქციის აუზის ღრმა ხეობებში შემორჩა.

## ლიტერატურა

**კეცხოველი ნ. 1959:** საქართველოს მცენარეული საფარი. თბილისი.

**მარუაშვილი ლ. 1970:** საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 2. თბილისი.

**ნარიმანიშვილი გ. 2006:** საფარ- ხარაბას სამაროვანი. – ძიებანი, № 17-18, 92-126.

**ქც 1973:** ვახუშტი ბაგრატიონი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

**Амиранашвили Дж., Нариманишвили Г. 2005:** Поселение эпохи средней бронзы из Триалети. – Т. Бунятов (ред.), Археология, Этнология, Фольклористика Кавказа, 42-43. Баку.

**Апхазава Н. 1975:** Озера Грузии. Тбилиси.

**Атлас Грузии 1964:** Тбилиси.

**Гроссгейм А. 1946:** Растительные ресурсы Кавказа. Баку.

**Гроссгейм А. 1949:** Определитель растений Кавказа. Москва.

**Ефремов Б., Квавадзе Э. 1995:** История озер Кавказа. – Румянцев В.А. (ред.) История озер севера Азии, 192-205. Санкт-Петербург.

**Квавадзе Э. 1999:** Голоценовые колебания уровня озера Лиси и изменения положений нижней границы леса. – Проблемы палеобиологии, том.1, 75-87. Тбилиси.

**Квавадзе Э. В. 2006:** Фоссильный мед как объект для палеоэкологических реконструкций (по палинологическим данным археологического материала из Грузии). – Палеонтологический журнал, том 40: 595-603. Москва.

**Квавадзе Э., Рухадзе Л. 1989:** Растительность и климат голоцена Абхазии. Тбилиси.

**Квавадзе Э., Гамбашидзе И., Миндиашвили Г., Гогочури Г. 2004:** Следы существования древнего пчеловодства (III тысячелетие до н.э.) на территории Грузии по палинологическим данным. – И. Я. Элиава (ред.), Труды Института Зоологии, том.XXII, 438-449. Тбилиси.

**Квавадзе Э. В., Коннор С. В., Нариманишвили Г. К. 2007:** Позднеплейстоценовая и голоценовая история развития ландшафтов окрестностей Цалки (Южная Грузия) по палинологическим данным озерных и почвенных образований. Проблемы палеобиологии, том. II, 12-23. Тбилиси.

**Keçkovieli H. (red.) 1964:** Определитель растений Грузии, том 1. Тбилиси.

**Клопотовская Н. 1973:** Основные закономерности формирования спорово-пыльцевых спектров в горных

районах Кавказа. Тбилиси.

**Ломинадзе В., Чиракадзе Г. 1971:** Климат и климатические ресурсы Грузии. Ленинград.

**Маруашвили Л. (ред.). 1973:** Геоморфология Грузии. Тбилиси.

**Маргалитадзе Н. 1977:** История растительности Джавахетского нагорья и Цалкинского плато в голоцене. – И.

Тумаджанов (ред.), Палинологические исследования в Грузии, 124-147. Тбилиси.

**Маргалитадзе Н. 1995:** История голоценовой растительности Грузии. Тбилиси.

**Нариманишвили Г. 2006:** Триалети в II тысячелетии до н.э. (по данным археологии). Автор.докт.дисс. Тбилиси.

**Трифонов В., Карабанян А. 2004:** Геодинамика и история цивилизаций. Москва.

**Яценко-Хмелевский А., Канделаки Г. 1941:** Древесные угли из раскопок Бешташенской циклопической крепости (Цалка). – Сообщ. Груз. филиала АН СССР, том 2, № 5, 14-21.

**Arabuli G., Kvavadze El., Kikodze D., Connor S., Kvavadze Er., Bagaturia N., Murvanisze M., Arabuli T. 2008:** The Krummholz beech woods of Mt.Tavkvetili (Javakheti Plateau, Southern Georgia), a relict ecosystem. *Proceedings of the Institute of Zoology* 23, 194-213.

**Connor S.E. 2006.** Late Quaternary vegetation history of Southern Georgia. Caucasus. Doctoral thesis. Melbourne.

**Connor S.V., Kvavadze E.V. 2005:** Climatic and human influences on vegetation dynamics around Tbilisi over the past 6000 years. *Proceedings of the Georgian Academy of Sciences. Biological series B*, 3/4, 64-76.

**Connor S., Thomas I., Kvavadze E., Arabuli G., Avakov G., Sagona A. 2004:** A survey of modern pollen and vegetation along an altitudinal transect in southern Georgia, Caucasus region. *Review of Palaeobotany and Palynology* 129, 229-250.

**Kvavadze E. 1993:** On the interpretation of subfossil mountain spore-pollen spectra. *Acta Palaeobotanica* 33(1), 347-360.

**Kvavadze E.V., Connor S.V. 2005:** Zelkova carpinifolia (Pallas) K. Koch in Holocene sediments of Georgia: an indicator of climatic optima. *Review of Palaeobotany and Palynology* 133, 69-89.

**Kvavadze E. V. 2006:** Fossilni med kak ob'ekt dlya paleoekologicheskikh rekonstruktsii (po palynologicheskim dannym arkheologicheskogo materiala iz Gruzii. (Fossil honey as an object for palaeoecological reconstruction). *Palaeontological journal* 6. Tbilisi.

**Kvavadze E. V., Connor S. V., Narimanashvili G. K. 2007:** Pozdnepleistotsenovaya i golocenovaya istoriya razvitiya landshaftov okrestnosti Tsalki (Yuzhnaya Gruziya) po palynologicheskim dannym ozernykh i pochvennykh obrazovanii. (The Late Pleistocene and Holocene history of the development of landscapes in the environs of Tsalka [South Georgia] according to palynological data from lake and soil formations). *Problems of palaeobiology* 2, Tbilisi.

**Kvavadze E., Efremov Yu. 1994:** Palynological studies of Holocene lake sediments in the headwaters of the river Bezymianka (West Caucasus). *Acta Palaeobotanica* 35(2), 205-214.

**Kvavadze E., Efremov Yu. 1995:** Peculiarites of recent pollen spectra of lake sediments in the Caucasus. *Acta Palaeobotanica* 35(1), 57-72.

**Kvavadze E., Efremof Yu. 1996:** Palynological studies of lake and lake-swamp sediments of the Holocene in the high mountains of Arkhyz (Western Caucasus). *Acta Palaeobotanica* 36(1), 107-119.

**Kvavadze E., Gambashidze I., Mindiashvili G., Gogochuri G. 2006:** The first find in southern Georgia of fossil honey from the Bronze Age based on palynological data. *Vegetation History and Archaeobotany* 16,5, 399-404.

**Kvavadze E., Kakhiani K. 2007:** Extrafossils in pollen spectra of the samples of organic formation from the Paravani Kurgan (the Early Bronze Age, Georgia). *Vegetation History and Archaeobotany* (in press).

**Kvavadze E., Narimanishvili G. 2006a:** An experimental approach to the palynology of remains from Middle Bronze Age burials in Saphar-Kharaba, southern Georgia. *Abstracts of the 7<sup>th</sup> European Palaeobotany-Palynology Conference*, 77-78. Prague.

- Kvavadze E., Narimanishvili G. 2006b:** The remains of *Gossipium*, *Linum* and sheep hairs as textile fibers of cotton, flax and wool in palynological material from Bronze Age burials. *Palyno-Bulletin* 2. No. 1-4, 34-37. Innsbruck.
- Kvavadze E., Shatberashvili Z., Amiranashvili J., Arabuli G. 2004:** Palynological investigations of two burial mounds of the Middle Bronze Age of Tkemlara (Eastern Georgia). *Acta Palaeobotanica* 44(2), 267-279.
- Tarasov P.E., Volkova V.S., Andreev A.A., Bezusko L.S, Kvavadze E. 1998:** Present-day and middle-Holocene biomes reconstructed from pollen and plant macrofossil data from the Former Soviet Union and Mongolia. *Journal of Biogeography* 25, 1029-1054.
- Tarasov P.E., Peyron O., Guiot J., Brewer S., Kvavadze E. et al. 1999:** Last glacial maximum climate of the Former Soviet Union and Mongolia reconstructed from pollen and plant macrofossil data. *Climate Dynamics* No. 15, 227-240.
- Van Zeist W., Bottema S. 1991:** Late Quaternary vegetation of the Near East. *Beihefte zum Tübinger Atlas des Vorderen Orients*, Reihe A 18, 1-156
- Wasylkowa K., Witkowski A. (eds.) 2008:** *The Paleoecology of Lake Zeribar and Surrounding Areas, Western Iran, during the last 48,000 years*. Diatom Monographs 8. Ruggell.
- Wick L., Lemcke G., Sturm M. 2003:** Evidence of Late-glacial and Holocene climatic change and human impact in eastern Anatolia: high-resolution pollen, charcoal, isotopic, and geochemical records from the laminated sediments of Lake Van, Turkey. *The Holocene* 13 (5), 665-675.
- Wright H., Ammann B., Stefanova I., Atanassova J., Margalitadze N., Wick L., Blyakharchuk T. 2003:** Late-glacial and early-Holocene dry climates from the Balkan peninsula to Southern Siberia. S. Tonkov (ed.), *Aspects of Palynology and Palaeoecology*, 127-136.

### სურათების აღწერა

- ტაბ. I. წალკის ტაფობის რუკა და საკვლევი პუნქტების ადგილმდებარეობა: 1. ჯინისის ნამოსახლარი; 2. ალიგელის ტბა; 3. აი-ილიას მთა; 4. საფარ-ხარაბას სამაროვანი; 5. იმერას ტბა; 6. იმერას სამაროვანი.
- ტაბ. II. 1. საფარ-ხარაბას სამაროვანი, სამარხი № 67 (a – გათხრების დასაწყისი; b – გათხრების დასასრული. ფოტო გ. ნარიმანიშვილისა). წრეებითა და ისრებით აღნიშნულია ის ადგილები, სადაც აღებულია ნიმუშები პალინოლოგიური ანალიზისათვის; 2. საფარ-ხარაბას სამაროვანი, სამარხი № 85 (a – გათხრების დასაწყისი; b – გათხრების დასასრული. ჩანს კამერის გადახურვის ხის ძელები. ფოტო გ. ნარიმანიშვილისა). წრეებითა და ისრებით აღნიშნულია ის ადგილები, სადაც აღებულია ნიმუშები პალინოლოგიური ანალიზისათვის.
- ტაბ. III. საფარ-ხარაბას სამაროვანი. სამარხი № 67. კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) მტვრის მარცვლები, რომლებიც აღმოჩნდა მიცვალებულის კბილებს შორის ( $\times 600$ -ჯერ).
- ტაბ. IV. საფარ-ხარაბას სამაროვანი. ბამბის ქსოვილისა და ბოჭკოების ნაშთები: 1. სამარხი № 56. ქსოვილის ნაშთი ( $\times 20$ -ჯერ); 2,3. სამარხი № 56. ბამბის ქსოვილის ძაფის ბოჭკოები ( $\times 600$ -ჯერ); 4,5. სამარხი № 71. ბამბის ქსოვილის ძაფის ბოჭკოები ( $\times 600$ -ჯერ).
- ტაბ. V. A. ალიგელის ტბის ჭრილის დანალექი ფენების სპორებისა და მტვრის დიაგრამა (ნაჩვენებია დომინანტები და ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი კომპონენტები); B. იმერას ტბის ჭრილის დანალექი ფენების სპორებისა და მტვრის დიაგრამა (ნაჩვენებია დომინანტები და ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი კომპონენტები) [დიაგრამა აღებულია ყვავაძისა და სხვ. 2007 წლის პუბლიკაციიდან].
- ტაბ. VI. აი-ილიას ნიადაგის 1-ელი ჭრილის დანალექი ფენების სპორებისა და მტვრის დიაგრამა.
- ტაბ. VII. აი-ილიას ნიადაგის მე-2 ჭრილის დანალექი ფენების სპორებისა და მტვრის დიაგრამა.
- ტაბ. VIII. თანამედროვე მტვრისა და სპორების ნიადაგური სპექტრი აი-ილიას მთის ჩრდილო ფერდობზე (1-3 სინჯები აღებულია ფიჭვის ტყეში, დანარჩენი კი - მდელოზე).